ISSN 1512-1801

პედაგოგიკის როლი მოზარდთა ანტისოციალური მიდრეკილებების პრევენციაში

ნინო ქიტოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის დოქტორნატი

რეზიუმე

საზოგადოების განვითარების წინაპირობას მომავალი თაობისთვის კარგი განათლების მიცემა წარმოადგენს. ბავშვებში ანტისოციალური ქცევის მიდრეკილებები კი რისკ ქვეშ აყენებს საზოგადოების ფუნქციონირებისა და სამომავლოდ დასახული საზოგადოების წინსვლის პროგნოზებს. თანამედროვეობაში ცხოვრების რიტმმა, კონკურენციამ, ხელმისაწვდომობის არათანაბარმა შესაძლებლობებმა, გამუდმებულმა სტრესმა და მატერიალურად მძიმე პირობებმა, პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობის საკითხი დააყენა.მოზარდის მოქალაქეობრივ და საზოგადოებრივ ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელია როგორც ოჯახი, ასევე, სკოლა. ორივე მათგანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ფორმირებასა და მის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში. ბავშვის განვითარების პროცესში, განვითარებისათვის მთავარ გარემოს მასწავლებლები და სასწავლო დაწესებულებები წარმოადგენენ. ამ პროცესში პედაგოგიური მეთოდების სწორი და მიზანმიმართული გამოყენება შეძლებს ბავშვებში ანტისოციალური ქცევის პროფილაქტიკა/პრევენციას და მოზარდის საზოგადოების სრულფასოან წევრად ჩამოყალიბების ხელშეწყობას, სადაც განათლების პედაგოგიურ პროცესს ანტისოციალური ქმედების პროფილაქტიკაში ღირებული წვლილი შეაქვს. ნაშრომში განხილულია დამაგიდო კვლევა, სადაც გაანალიზებულია ბავშვთა ანტისოციალური ქმედებების და განათლების აკადემიური მოსწრების მაკავშირებელი კვლევები, ზოგადი განათლების პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტები, ანტისოციალური მიდრეკილებებისა და დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვებთან მომუშავე სახელმწიფო/არასამთავრობო უწყებებისა და ანტისოციალური ტენდენციების პრევენციული ღონისძიების გამტარებელი ორგანიზაციების საქმიანობა და არსებული კვლევებისა და მეცნიერთა ნაშრომების საფუძველზე გაანალიზებულია ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების გამოწვევები/ხარვეზები. ინფორმაციის მეცნიერულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გაგვესვა ხაზი ბავშვთა ანტისოციალური ტენდენციების პროფილაქტიკაში პედაგოგიური საქმიანობის როლისთვის. რაც დაგვეხმარა ანტისოციალური ქცევის პროგნოზირებისა და პროვენციისთვის მიდგომების გამოყოფასა და არსებული საჭიროებების შესაბამისად, რეკომენდაციების შემუშავებაში.

საკვანძო სიტყვები : დევიაცია, ანტისოციალური ქცევა, პედაგოგიკა

ISSN 1512-1801

შესავალი

განვითარება, ეს არის ფიზიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური პროცესი, რომელიც მიმართულია ზრდაზე, პროგრესსა და პოზიტიურ ცვლილებებზე. განვითარების ფსიქოლოგია შეისწავლის ცვლილებებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებაში მთლიანი სიცოცხლის მანძილზე და დაკავშირებულია ისეთ მეცნიერებებთან, როგორიცაა განათლება, მედიცინა, ეკონომიკა, სამართალი და სხვა. ბავშვის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს მემკვიდრეობითი და გარემო ფაქტორები. მეცნიერები(Masten & Reed, 2002; Conger & Conger, 2002; Johnson, 2000) თავის ნაშრომში ამ ფაქტორების ურთიერთმიმართებასა და გავლენის სფეროებზე საუბრობენ. „ბუნება-აღზრდის“ შესახებ დავა დიდი ხანია მიმდინარეობს და გარემოს მნიშნელობის განხილვისას მეცნიერების ყურადღება მახვილდება ადრეულ გამოცდილებაზე, სამომავლო ქცევაზე და მიაჩნიათ რომ, ადრეულ ასაკში გამოცდილი უარყოფითი ზეგავლება, მნიშნელოვნად აფერხებს განვითარების მომდევნო ეტაპზე გადასვლას (ბერკი , 2010, გვ.16).

ბავშვობიდან მოზარდობის ხანაში გადასვლისას, ორგანიზმში მიმდინარეობს რთული ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქოლოგიური ცვლილება. მოზარდობის პერიოდი წარმოადგენს ზრდასრულობისთვის მზადების პროცესს, რითიც განვითარების აღნიშნულ ეტაპს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. ამ პერიოდში ყალიბდება პიროვნული იდენტობა, ემოციური რეგულაცია, სამომავლო გეგმები, ფიზიკური სიმწიფე, მყარი სოციალური ურთიერთობები და ხდება ცხოვრებისეული ინტერესების იდენტიფიცირება (IMNRC, 2011 ,გვ.2-3). ამიტომაც მნიშვნელოვანია ის გარემო რომელშიც მოზარდი გადის აღნიშნულ პროცესს და „მნიშვნელოვანი სხვები“, რომლებიც უწევენ ამას ფასილიტაციას.

მოზარდობის ასაკში ბავშვებს უვითარდებათ აბსტრაქტულ ცნებებთან მუშაობის უნარი და აღმოჩენების მოთხოვნილება (ჯანაშია და სხვები 2008, გვ. 112-113).ეს პერიოდი ხასიათდება ასევე, მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთობაში ცვლილებებით. ადრეულ ასაკში, ბავშვი სრულიად დამოკიდებულია მასწავლებელზე, ხოლო მოზარდობაში კი მეტად გაბედულად ეწინააღმდეგება მის პოზიციას, სასწავლო რეჟიმს, იწვევს კამათში და იზრდება სწავლისა და სკოლაში სიარულის სურვილის დაკარგვის რისკი (ჯანაშია და სხვები 2008, გვ. 165).

1. სოციალიზაცია და ბავშვთა ანტისოციალური ქცევა

თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანებს, მათ შორის მოზარდებსაც სურთ კეთილმოწყობილ გარემოში ცხოვრება, აღიარება, მრავალფეროვანი დასვენება და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების შესაძლებლობები სხვადასხვაგვარია, მათი დიფერენცირებულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე, სოციალურ პოზიციაზე, სტატუსზე, განათლებაზე, საცხოვრებელ ადგილზე და ა.შ. სოციალური კლასების არათანაბარი მდგომარეობა განაპირობებს სოციალურ ან ეკონომიკურ უთანასწორობას. ბუნებრივია, რომ მაღალი სოციალური და ეკონომიკური ფენის წარმომადგენელი მეტ შესაძლებლობას ფლობს დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის არქონა კი, ხშირად ანტისოციალური ქმედების განმაპირობებელია, რომლითც ინდივიდი ცდილობს სოციალური მოთხოვნილების

ISSN 1512-1801

დაკმაყოფლებას. ამის ცოდნა გვეხმარება, ანტისოციალური ქცევის გენეზისი ვეძებოთ არა სოციალური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობაში, არამედ, იმ შესაძლებლობებში, რომლითაც მიიღწევა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. შესაბამისად, ანტისოციალური ქცევის გამომწვევ ფაქტორად შესაძლოა ვიგულისხმოთ სოციალური მოთხოვნილებასა და მათი დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობის შორის შეუთავსებლობა (გაბუნია ,2010, გვ.99-100).

დანაშაულის პრევენციაში პედაგოგიური გზების ძიების საკითხზე მნიშვნელოვნად გააქტიურდა პედაგოგიური პრესა მე-20 საუკუნეში. შეიქმნა ბევრი ნაშრომი ამ მიმართულებით, თუმცა, თანამედროვე საქართველო სრულიად სხვა გამოწვევების წინაშე დგას და საჭიროებს რელევანტურ კვლევებს და დღევანდელ დღეზე მორგებულ რეკომენდაციების შემუშავებას. (მამრიკაშვილი, 2017, გვ.3).

ბავშვის აღზრდა-განვითარება მრავალმხრივი პროცესია და გულისხმობს ზრუნვას, იმისთვის, რომ ბავშვმა დაიმკვიდროს ადგილი საზოგადოებაში. თვითდამკვიდრება გულისხმობს სოციო-ეკონომიკური, სოციო-ფსიქიკური და სოციო-პედაგოგიური რიგი ფაქტორების ზეგავლენის შედეგად, სირთულეების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის სტრატეგიების გამომუშავების უნარის ჩამოყალიბებას. ეს ხელს უწყობს მოთხოვნილებების დაკმაყოფილების რეალიზაციის (Платонов, 2006, გვ. 66), სოციალიზაციის პროცესს, საზოგადოებაში არსებული ნორმების, გარკვეული სისტემებისა და ფასეულობის ათვისებას რაც წარმოადგენს საზოგადოების სრულფასოვანი წევრობის წინაპირობას (სალია, 2008).

დანაშაულის მიზეზების კვლევისას გამოიყო, ანტისოციალური და ქცევითი პრობლემების (დანაშაული, ძალადობა, ნივთიერებებზე დამოკიდებულება) ჩამოყალიბება/განვითარების ფაქტორები. კაპალდიმ და მისმა კოლეგებმა (Capaldi at all., 2016) კვლევით დაადგინეს, რომ დანაშაულის მკაცრი პრედიქტორია ასაკი. კერძოდ, 15-19 წლის ბიჭებში ანტისოციალური ქცევის ტენდენციაა მაღალი, ხოლო მოზარდებში და ადრეულ ზრდასრულობაში კი იმატებს სქესობრივი დანაშაულების და ნივთიერებებზე დამოკიდებულების რისკი (Capaldi at all, 2016).

შალიკაშვილმა და ჩიხლაძემ (2013) განიხილეს კვლევა, სადაც კრიმინალურობა კავშირში იყო თავისუფალი დროის ქონასთან. კვლევაში ბავშვები, რომლებიც ძირითად დროს ოჯახის გარეთ ატარებენ, იშვიათად ერთვებიან სპორტულ და ახალგაზრდულ - განმავითარებელ ღონისძიებებში, ინტერესდებიან სისწრაფით, ექსტრიმით და აქვთ მწირი ინტერპერსონალური კომუნიკაციები, რაც წარმოადგენს ანტისოციალური ქცევის რისკს - (შალიკაშვილი, ჩიხლაძე, 2013, გვ. 32-33). ხალიანი და ვარდიაშვილი (2017, გვ.118-119) მოზარდების სახიფათო სიტუაციაში ჩაგდების ტენდენციებისა და თვითდამკვიდრების დევიაციური გზების პრევენციისათვის, მნიშვნელოვანად სპორტულ აქტივობებში ჩართულობას მიიჩნევენ. ამ დროს გამოყოფილი ადრენალინი უკმაყოფილებს მოზარდს ხიფათში თავის ჩაგდების მოთხოვნილებას და ბედნიერების განცდის წყარო არ შორდება დაშვებულის საზღვრებს. რისი უზრუნველყოფაც, ოჯახის ფინანსური შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა მოახდინოს სკოლამ.

მამრიკაშვილმა (2017) იკვლია დანაშაულის პრევენციაში აღზრდის როლი, დამნაშავედ ჩამოყალიბების მიზეზები და შესაბამისი რეკომედაციები შეიმუშავა. კვლევის შედეგად, ანტისოციალური ქცევის ბევრი მიზეზი და მიმართულება

ISSN 1512-1801

გამოიხატა. კვლევის მიხედვით, ადამიანის დამნაშავედ ჩამოყალიბებას, ხელს უწყობს დაბალი აკადემიური მოსწრება და შერჩეული აღზრდის სტილი. ნაშრომში კვლევამ აჩვენა მშობელთა პედაგოგიური განათლების და საგანმანათლებლო დაწესებულებებში აღმზრდელობითი ფუნქციების გაძლიერების საჭიროება (მამრიკაშვილი, 2017 , გვ.127-128).

ბუონანოს (Buonano, 2003, გვ. 18-19) კვლევამ ცხადყო, რომ ანტისოციალური ქმედება პირდაპირ კავშირშია აკადემიური მოსწრების დაბალ დონესთან (პირის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად) და ადრეულ ასაკთან. დაბალი აკადემიური მოსწრება და ადრეული ასაკი კი სამსახურის არ არსებობასთან. დაბალი აკადემიური მოსწრება, თავის მხრივ, ამცირებს დასაქმების შანსებს მომავალში და ზრდის რეციდივის ალბათობას (Buonanno, 2003, გვ. 22-23); მის კვლევაში აღმოჩნდა, რომ ბავშვები, რომელთაც ქონდათ დაბალი აკადემიური მოსწრება სკოლაში და კრიმინალურ ატივობებში ჩართვის მაღალი ტენდენცია, იზრდებოდნენ „ცუდ სამეზობლოში“ (სოციალური ურთიერთობები) და ჰქონდათ მცირე სამეგობრო წრე, (Buonanno, 2003, გვ. 24).

ვალი და მისი კოლეგების (Wall at all. 2015, გვ. 4)კულტურათაშორის ინტერნაციონალურ შედარებით კვლევაში, გამოჩნდა, რომ ბავშვების შესაძლებლობების განვითარებაში პასუხისმგებელი ოჯახი და ადრეულ საგანმანათლებლო/სასკოლო გარემოა. სწორედ ამ ორი ინსტიტუციის ინტერაქცია და გამოცდილება გვევლინება ბავშვების განათლებისა და განვითარების დონის განმაპირობებელ ფაქტორებად.

განხილული ანტისოციალური ქცევის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევების საფუძველზე, შეიძლება შევაჯამოთ, რომ ანტისოციალურ ქცევების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასაკი,თავისუფალი დრო, აღზრდა, დაბალი აკადემიური მოსწრება, ოჯახი, სკოლა და პედაგოგიური მიდგომები.

2. პედაგოგიკის როლი ბავშვის სოციალიზაციაში

ბავშვის სოციალიზაციის უმნიშნელოვანესი წყარო სკოლაა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ფეხს იდგამს, სწავლობს სიარულს და ძირითად შემთხვევებში სასიცოცხლო უნარებს იძენს ოჯახში, მხოლოდ ოჯახი მაინც ვერ უზრუნვლეყოფს ბავშვის მიერ სამყაროს შეცნობისას საზოგადოებაში არსებული განათლების პოლიტიკის მიზნის გათვალისწინებას. სკოლისა და ოჯახის პედაგოგიური თანამშრომლობა წარმოადგენს აღზრდის სწორ ძალას. სწორედ სკოლა და ოჯახი გვევლინება მოზარდის ცხოვრებაში სოციალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშემწყობ ძალებად (სალია , 2008). სოციალიზაცია ეს არის პროცესი, როდესაც მოზარდებს აყალიბებს, ის გარემო, რომელშიც ის იზრდება (Berry at all., 1997, გვ.43), მოზარდები წარმოადგენენ პროფესიული და რეციდიული დანაშაულობის რეზერვს, რის გამოც აუცილებელია არასრულწლოვანთა ანტისოციალურობის მაქსიმალური პროფილაქტიკა (ქიტიაშვილი, 2016, გვ.40).

განათლება არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი პირობა (საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2017). „სოციალიზაცია სკოლაში“ გულისხმობს სოციალურ პედაგოგიკას და მოიაზრებს პედაგოგის მიერ თეორიული და პრაქტიკულიცოდნის კომბინირებას ბავშვის

ISSN 1512-1801

სოციალური განათლების, კეთილდღეობის და პიროვნული განვითარების მხარდასაჭერად (Hooge , 2014, გვ. 64-65).

მოზარდის მიმართ დამოკიდებულება ბევრ ნიუანსს მოიცავს, რომელიც აღმზრდელობით პროცესში გასათვალისწინებელია. მიღებულია, რომ ქება და დადებითი შეფასება არ უნდა გაცდეს ობიექტურ ნორმებს, რომ პედაგოგმა არ უნდა აღიქვას მოსწავლის ქმედებები ნეგატიურად და პირიქით, მხოლოდ დადებითზე მოახდინოს აქცენტირება (მაჩაიძე ლ., მოლოდინაშვილი, 2014, გვ. 216).

გარე სამყაროსადმი ინტერესის გაღვივებასა და შეცნობაში სწორედ მასწავლებლისა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულებას აქვს დიდი მნიშვნელობა. მასწავლებლის უნარი დაანახოს სასწავლო მასალა არა განცალკევებულად, „არამედ როგორც სამყაროს, ბუნებისა და სამყაროს ურთიერთდაკავშირება სულიერი კულტურის სივრცეში“ გადამწყვეტია. არსებული სირთულეების გაანალიზება და გადასაჭრელად ინდივიდებთან კომუნიცია, გარემოს შეცნობა უვითარებს ბავშვს სოციალურ და ფიზიკურ უნარებს, აძლევს საჭირო ცოდნას და ეხმარება მას დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებასა და საზოგადოებაში მისი როლისა და უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში (მაჩაიძე, მოლოდინაშვილი, 2014, გვ. 2014-215).

აღზრდა-განათლების პროცესში დიდი როლი უკავია პედაგოგს, რომელიც იკვლევს აღსაზრდელის ოჯახურ გარემოს და პირველ რიგში, ადგენს აღზრდის პროცესში დაშვებული შეცდომების ტიპს, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, აღზრდის სტილი დასაბამს აძლევს ბავშვების დევიაციურ ქმედებას, რის შედეგების პროფილაქტიკაზეც პედაგოგმა უნდა იზრუნოს (სალია, 2008). მასწავლებელები ყოველდღიურად აწყდებიან გარკვეულ შემთხვევებს, სადაც გარდა სპეციალიზირებული ცოდნის გამოყენებისა, სჭირდებათ მორალური, სოციალური ნორმების გამოყენებით პედაგოგიური დავალებების გადაჭრა (Hooge, 2014, გვ. 63).

პედაგოგიკა ხაზს უსვამს სოციალური გარემოს როლს პიროვნების ჩამოყალიბებაში, იმისათვის, რომ პიროვნება ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი, სამართლიანი, ჰუმანური და საზოგადოების ღირსეული წევრი, საჭირო გახდა ბავშვის აღზრდის პროცესში მრავალი ფაქტორის გათვალისწინება და მისი მომავლის არამხოლოდ ოჯახურ გამოცდილებაზე მინდობა(სალია, 2008).

პედაგოგიკა ეს არის ინსტრუქციული ტექნიკები და სტრატეგიები რომლებიც სწავლის პროცესში აადვილებს ცოდნის, უნარების, ატიტუდებისა და დისპოზიციების სოციალურ და მატერიალურ კონტექსტში შეძენას. ის ეხება ინტერაქციულ პროცესს მასწავლებელსა და მოსწავლეს და სასწავლო გარემოს შორის და ყურადრებას ამახვილებს როგორ სწავლობს მომსავლე, რა უნდა ისწავლოს და ასევე, როგორ უნდა შეეწყოს ამას ხელი (Wall At all. , 2015, გვ. 4).

მნიშვნელოვანია მასწავლებელმა სწავლების პროცესში შექმნას უსაფრთხო გარემო, სადაც ბავშები შეძლებენ მოირგონ სხვადასხვა როლი, აიღონ პასუხისმგებლობა, მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და გაიაზრონ პრობლემა საკუთარი შესაძლებლობების განვითარებით, მასწავლებლების მხარდაჭერისა და პოზიტიური გამოხმაურების ფონზე (მაჩაიძე, მოლოდინაშვილი, 2014, გვ. 216).

ISSN 1512-1801

ვალის და მისი კოლეგების მიხედვით(Wall at all.,2015, გვ. 7), აუცილებელია პედაგოგიური საქმიანობა იყოს ბავშვზე ცენტრირებული, შეიცავდეს თამაშის კომპონენტებს და იყოს განვითარების შესამაბისი სირთულის. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ საქმე ეხება უმცირესობების სწავლებას, რომელთაც აქვთ განსხვავებული კულტურული, ლინგვისტური ფონი და საჭიროებენ პედაგოგების მხრიდან ადაპტაციის ხელშეწყობას .მედეა სალიას (სალია, 2008) მოსაზრებით, პედაგოგმა უნდა იცოდეს თუ რა ოჯახიდან არის მისი აღსაზრდელი. კერძოდ: ოჯახის დემოგრაფიული, სოციალურ-კულტურული, ტენიკურ-ჰიგიენური პარამეტრები. ეს ინფორმაცია პედაგოგს მისცემს საშუალებას დაადგინოს, გააჩნია თუ არა ოჯახს მასოციალიზებელი ფუნქცია.

ჰუჯის (Hooge., 2014, გვ. 65) მიერ განხილულ ნაშრომში სკოლაში ეფექტური სწავლების პედაგოგიური დავალებებია: ზრუნვა და კეთილდღეობა, ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; ინკლუზია - სკოლის და საზოგადოებსი ცხოვრებაში ბავშების სრული ჩართვა; სოციალიზაცია - ბავშებისთვის იმ საზოგადოების შესაბამისი უნარების შეძენა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ; აკადემიური მხარდაჭერა მათთვის, ვინც ჩაჭრის რისკის ქვეშაა და სოციალური განათლება, რომელიც ორიენტირებული ბავშვების პიროვნულ/სოციალურ განვითარებაზე და მოიაზრებს მორალურ, სექსუალურ , მოქალაქეობრივ განათლებას, კარიერის დაგეგმვასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას. ჰუჯიმ (Hooge., 2014, გვ. 69-70) თავის კვლევაში, გამოყო გერმანიის დაწყებით კლასებში სწავლების პედაგოგიური განზომილებები. მასწავლებლებმა დააფიქსირეს სხვადასხვა თემატიკის პრიორიტეტული პედაგოგიური დავალებები:1. სკოლაში სასწავლებელი კარგი სოციალური ქცევის ჩამოსაყალიბებლად: სოციალური უნარები; ანტიბულინგი; კორექცია, მოსმენა, მასწავლების დავალების შესრულება, საკუთარი თავის დაცვა, მოტივირება, წესების დაცვა, დისციპლინის სწავლება, სხვებთან კონტაქტი და სხვ.; 2. შვილების განათლებაში მშობლების ჩართულობის გასაზრდელად; მშობლებისთვის თქმა, რომ შვილებს ასწავლონ ველოსიპედისტარება, სოციალური უნარები, კვება, ჰიგიენა, გადაამოწმონ მათ მიერ საშინაო დაველების შესრულება და სხვ. 3. თავის მოვლის სწავლება; დამოუკიდებლად ჩაცმა , სექსუალური განათლება, ჰიგიენის დაცვა, კბილების გამოხეხვა; გარდა ამისა, ფინანსების მოვლის, კვებითი უნარების და სხვა

კვლევების მიხედვით (Hooge, 2014; Wall at all.,2015) ბავშვთა ანტისოციალური ქცევის პრევენციული ღონისძიებების გამტარებელ რგოლად მასწავლებელი გვევლინება და მისი პედაგოგიური საქმიანობა კი ბავშვის სოციალიზაციის მნიშვნელოვან წყაროდ. მაშასადამე, სასწავლო საგანზე მეტად მნიშნელოვანია ის, თუ რა მეთოდით, რაზე აქცენტირებით, რა სიღრმით ასწავლის პედაგოგი მოსწავლეს და რა სიყვარულს და კეთილდღეობის ინტერესს იჩენს მის მიმართ (მაჩაიძე ლ., მოლოდინაშვილი, 2014, გვ. 214).

პრევენციულ საქმიანობაში იგულისხმება, პედაგოგიური დავალებები და აქტივობები, რომელთა ეფექტურობაც დაადასტურა კვლევებმა (Hooge, 2014; Wall at all.,2015). ის წარმოადგენს პრევენციული ფსიქოლოგიის სამოქმედო გეგმას. მაგ: თუ ვიცით, რომ ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეები გამოირჩევიან დაბალი აკადემიური მოსწრებით, დაბალი კოგნიტური უნარებით, სტრესის ამაღლებული

ISSN 1512-1801

დონითა და სხვ, აუცილებელია დაიგეგმოს ანტისოციალური ქცევის პრევენციის შესაბამისი ღონისძიებები.

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) მიხედვით პრევენცია გულისხმობს: 1. პრობლემური ქცევის შეჩერება, მანამ სანამ ის გამოვლინდება, რასაც იურიდიულ ენაზე პირველი დონის პრევენცია ეწოდება (არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, 2015, გვ.10), 2. პრობლემური ქმედების განხორციელების რისკ ჯგუფებთან მუშაობა - იურიდიულად მეორე დონის პრევენცია (არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, 2015, გვ.12), 3. პრობლემური ქცევის შედეგების შემცირება, იურიდიულ მეცნიერებაში ამას ხელახალი პრობლემური ქცევის განხორციელების თავიდან აცილებას და პრევენციის მესამე დონის სამუშაო ჯგუფის საქმიანობად განიხილავენ (არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, 2015, გვ.17), ასევე, არის 4. ემოციური და პიროვნული კეთილდრეობის განსამტკიცებლად განმანათლებელი აქტივობები და 5. უფრო ფართო საზოგადოების წრეზე ორიენტირებული ღონისძიებები კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად. მაშასადამე, პრევენცია მიზნად ისახავს მუშაობას, მათთან ვინც: არ არის პრობლემური ქცევის განხორციელების რისკის ქვეშ (1-ლი დონე), ვინც რისკის ქვეშ არის (მე-2 დონე) და ვისაც უკვე განხორციელებული აქვს პრობლემური ქცევა და საჭიროებს დახმარებას (მე-3 დონე) (APA , 2014, გვ. 286).

განხილული ლიტერატურიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებელი მოსწავლეს ურთიერთობა მნიშვნელვნად განაპირობებს მოზარდის სოციალიზაციის პროცესს და მზრუნველობითი, მხარდაჭერითი და ინდივიდუალური პედაგოგიური მიდგომა წარმოადგენს წარმატებული სოციალიზაციის წინაპირობას.

3. პრევენციული ფსიქოლოგია და პედაგოგიკა საქართველოში

განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს მისი განათლება, სადაც მნიშვნელოვანია ფიგურაა პედაგოგი. ასევე, პედაგოგიური მიდგომები და სასწავლო გარემო. ბავშვებში ანტისოციალური ქცევა, რომელიც კავშირში აღმოჩნდა აკადემიური მოსწრების დაბალ დონესთან საზოგადოების დასახულ განვითარების კურსს აყენებს რისკის ქვეშ და საჭიროებს პროფილაქტიკა/პრევენციას, რისთვისაც უკვე ტარდება ღონიძიებები, როგორც სამართალდამცავი, საგანმანათლებლო უწყებების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებსი მხრიდან.

ქიტიაშვილის (2016) კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული სიღარიბის ფონზე საქართველოში წამოჭრილმა ფსიქო-სოციალურმა გავლენებმა უარყოფითად იმოქმედა სასწავლო დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესზე და არასრულწლოვანთა ანტისოციალური ქმედებების განხორციელების მაჩვენებლის გაზრდაზე (ქიტიაშვილი , 2016, გვ.40).

2005 წელს შეიქმნა „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, დაკონკრეტდა მასწავლებლობის მსურველთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და დაიწყო უკვე მომუშავეთა აქტიური გადამზადების პროცესი.

ISSN 1512-1801

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“, მიზნად ისახავს სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მასწავლებლებს სთავაზობს სხვადასხვა ტრენინგს პროფესიული სტანდარტის ასამაღლებლად. პედაგოგებს ტრენინგებს სტავაზობენ სხვა ორგანიზაციებიც და ზოგი ნაწილი ფასიანია, ზოგი კი უფასო, ზოგი სავალდებულო, ზოგიც ნებაყოფლობითი. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (2012, გვ.5-6) მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოჩნდა, რომ ტრენინგების ფასი არ არის პირდაპირ კავშრში მიღებულ ცოდნასთან, ხშირად სასურველი და კარგი ტრენინგი ნაკლებად ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, ეს მათი თქმით, მათ განვითარებას უშლის ხელს, იწვევს სტრესს და აიძულებს საგაკვეთილო პროცესზე ორიენტირების მიღმა მიმართონ კერძო პრაქტიკებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის ფარგლებში, 2016 წელს ამოქმედდა „მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცების შესახებ „ #69 ბრძანება, სადაც ძირითადად მასწავლებლის პროფესიულ კრიტერიუმებზე, ადმინისტრაციულ უნარებზე და თეორიულ ცოდნაზეა საუბარი.

საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 5 დეკემბერს #533 დადგენილებით დაამტკიცა „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“. სადაც დამტკიცდა სქემა მასწავლებლების საქმიანობის კომპლექსური შეფასების, მათთვის პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლის მოტივაციის შექმნისათვის და მათი კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების სტუმულიაციისთვის (გვ.16); მოსწავლეების სოციალური პრობლემების გათვალისწინების შედეგად მიღებულია ზომები, რომლებმაც მნიშნელოვნად გაზარდა სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ჩართულობა სწავლის პროცესში; ტოლერანტული, უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს უზრუნველსაყოფად გათვლილია სერვისები; გაზრდილია ინკლუზიური განათლების ხარისხი; მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებელი ღონისძიებები (არაფორმალური განათლების კომპონენტებით) (გვ.18) და სხვ. ზოგადი განათლების ეროვნულ მიზანს წარმოადგენს მოსწავლის სამომავლო ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო სწავლების სტანდარტების უზრუნველყოფა, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული: განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობით, განათლების ხარისხის გაუმჯობესებით, საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებით, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლის მოტივაციის გაზრდით, განათლების ეფექტური მართვის სისტემის განვიარებით (გვ.20-22).

აღსანიშნავია, რომ ადამიანი, რომელსაც სურს მასწავლებლობა, იგებს არსებული ვაკანსიის შესახებ, მიდის გასაუბრებაზე და მოთოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში იწყებს მუშაობას, რის შემდეგაც ევალება უახლოესი ორი წლის განმავლობაში ჩააბაროს საგნის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდა და გაიაროს მასწავლებლობის მაძიებლის პროგრამა (თუ არ აქვს პედაგოგიური უმაღლესი განათლება). უნდა გაესვას ხაზი იმ მოთხოვნებს, რასაც დამსაქმებელი (სკოლა) უწესებს აპლიკანტებს (საგნის მასწავლებლებს). ძირითად შემთხვევაში, საუბარია მხოლოდ დარგობრივ ცოდნაზე, კომუნიკაბელურობასა და პასუხისმგებლობაზე. იგულისხმება, რომ აპლიკანტის სხვა პედაგოგიური უნარის ქონა-არ ქონას გასაუბრებაზე კომპეტენტური პირი გადაწყვეტს.

ISSN 1512-1801

ეს აკნინებს კანონმდებლობით გაწერილ სტანდარტს, არ უსვავს ხაზს მასწავლებლის შესაბამისი უნარით აღჭურვის სახელმწიფო ვალდებულებას და/ან ამ უნარის მნიშვნელოვნობას მასწავლებლის დასაქმების ეტაპზე, რაც ამცირებს მასწავლებლის აღნიშნული ვალდებულების შესრულების ალბათობას.

განხილული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ სახელმწიფოს მხრიდან დანახული საგანმანათლებლო ხედვა და ნაკისრი ვალდებულებები მისასალმებელია, თუმცა, სამწუხაროდ მხოლოდ ეს არ კმარა სკოლის, როგორც სოციალიზაციის უმნიშნელოვანესი წყაროს ეფექტიანად მუშაობისათვის. გასათვალისწინებელია ადამიანური ფაქტორი, მასწავლებლები, რომლებმაც უნდა გაწიონ პედაგოგიური საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლის საკვალიფიკაციო კატეგორიები და კვალიფიკაციის შესაბამისი მოთხოვნები მასწავლებლის პროფესიული სტანდარტშია გაწერილი, უფრო ზოგადია, ვიდრე კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული. არსებობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, თუმცა, ისინი არ ატარებენ სავალდებულო ხასიათს, და ხშირშემთხვევაში ძვირი და აქედან გამომდინარე, ხელმიუწვდომელია. გარდა ამისა, არსად არის საუბარი ტრენინგებზე, რომელიც შესძენთ მასწავლებლებს უნარებს მოახდინოს ანტისოციალური ქცევის ზოგადი პრევენცია, შეამჩნიოს ანტისოციალური ქცევის რისკის მქონე მოსწავლე და შეძლოს დამნაშავე არასრულწლოვნის საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

4. საქართველოში მოქმედი პროექტები

სახელმწიფო დაწესებულებების გარდა, საგანმანათლებლო, პედაგოგიურ და ანტისოციალური ქცევის პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს სხვადასხვა ორგანიზაცია. მათ შორისაა:

- ბავშვი და გარემო- რომელიც დაარსდა 1995 წელს და მიზნად ისახავს საქართველოშ მცხოვრები ბავშებისთვისს ფიზიკური და სულიერი დახმარების გაწევას. განსაკუთრებული ყურადრება ეთმობა, ქუჩაში მცხოვრებ, სოციალურად დაუცველი ოჯახის , შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ლტოლვილ ბავშვებს, რომელთა დასახმარებლადაც ორგანიზაცია იკვლევს მათ საჭიროებებს და ახორციელებს მათთან კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, და არა მხოლოდ (სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებ გვერდი).
- საქართველოს კარიტასი - დაარსდა 1994 წელს და მიზნადისახავს ქველმოქმედებისა და სამართლიანობის დამკვიდრებას. მიზნის განმახორციელებისათვის, ორგანიზაცია ეხმარება ბავშებს და ახალგაზრდებს განვითარებაში(განათლების ხელშეწყობა) (კარიტასის ოფიციალური ვებ გვერდი).
- შანსი - დაარსდა 2013 წელს და დაკავებული იყო სოციალურად დაუცველი და მინდობით არსაზრდელი ბავშებისათვის პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობით (აფინანსებდა აბიტურიენტობის პედიოდში რეპეტიტორების და ფსიქოლოგის სერვისს). პროექტში ორი წლის განმავლობაში პირადად გახლდით ჩართული ფსიქოლოგის პოზიციაზე და საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე თავდაუზოგავად ვცდილობდი მოზარდების განათლების პროცესში ჩართვას, სწავლის მოტივაციის გაზრდასა და მათში საზოგადოებრივი/მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაღვივებას. საბედნიეროდ მათმა უმეტესობამ მიიღო უმაღლესი

ISSN 1512-1801

განათლება, დასაქმდნენ, რამოდენიმე მათგანმა საზღვარგარეთ გააგრძელა სწავლა დაფინანსებით.

- იუსტიციის სამინისტროში მმართველობაში შემავალი სიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი,რომელიც შეიქმნა 2012 წელს და რომლის საქმიანობასაც წარმოადგენს: 14-21 წლის ასაკის ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგგემვა -განხორციელება, მათი საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებისკეთილდღეობითვის მნიშვნელოვანი ინიციატივების გაღვივება-მხარდაჭერას(პრევენციის პირველი დონე); დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნების საჭიროებების კვლევა, რესურსებით უზრუნვლეყოფა და რისკის შემცირება (მეორე დონე) და დამნაშავეთა რესოციალიზაცია რეაბილიტაციური პროგრამებში ჩართვა, საჭიროებების იდენტიფიცირება და სერვისების შეთავაზება (მესამე დონე)ა (დანაშაულის პრევენიის ცენტრის ოფიციალური ვებ საიტი).

არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ განათლება ანტისოციალური ქცევის პრევენციის ყველა დონეზე იკავებს მნიშვნელოვან ადგილს და წარმოადგენს სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების ძირითად ფოკუსს. რამეთუ, საკუთარ განათლებაში ჩართული პიროვნება სოციალურად მეტად აქტიურია, მეტად არის მოტივირებული ჩაებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ითამაშოს პოზიტიური როლი მის განვითარებაში (ებნერი,2019, გვ.7).

დასკვნა/რეკომენდაციები

კვლევა მიზნად ისახავდა ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზს, ანტისოციალური ქცევის პროფილაქტიკაში პედაგოგიური საქმიანობის როლის ხაზისგასმასა და არსებული საჭიროებისამებრ, რეკომენდაციების შემუშავებას. განხილული მასალის საფუძველზე , შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

საზოგადოების წინსვლის, განვითარების გეზის მხარდასაჭერად და ანტისოციალური ტენდენციების პრევენციისვის, აუცილებელია მიექცეს ყურადღება პედაგოგოგიურ სფეროს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის პიროვნებად ფორმირების პროცესში;

საქართველოში არსებული/მოქმედი სტანდარტი მეტად ორიენტირებულია ბავშვზე ვიდრე მასწავლებელზე/პედაგოგზე. პიროვნებაზე, რომლის უნარი და მიდგომა განსაზღვრავს განათლების პროცესის ეფექტურობას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაიცეს შემდეგი სახის რეკომენდაციები:

დამკვიდრდეს „არაძალადობის პედაგოგიკა“ და ხელი შეეწყოს მოსწავლეების გაერთიანებებს, მათ თავისუფალი ნების გამოხატვასა და საგანმანათლებლო ინიციატივებს.; ასევე, ბავშვთა შესაძლებლობების შესწავლა, ; მშბლებთან და ოჯახებთან ურთიერთობა; მშობელთა პედაგოგიზაცია, განსაკუთრებული საჭიროებების მქონეთა და დაუცველთათვის მეტი ყურადრების მიქცევა, მათი ჩაგვრის თავიდან ასაცილებლად და ა.შ. (სალია, 2008);

ასევე, მაია ცირამუას ეკუთვნის ანტიბულინგური პროგრამა, რომელიც ანტიბულინგური ქცევის ალგორითმებს გვთავაზობს პედაგოგიურ სივრცეში და ამით ბავშვებში ძალადობრივი, ანტისოციალური ტენდენციების პროფილაქტიკა/პრევენციას უწყობს ხელს (ხალიანი, ვარდიაშვილი, 2017, გვ.55);

ISSN 1512-1801

მესამე დონის პრევენციულ ღონისძიებებში კი, ყველაზე ეფექტური რეციდივის მიხედვით, რეკომენდირებულია პროგრამები, რომელიც: განათლებაზე, დასაქმებაზე, ნარკოტიკების და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებაზე, ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, თვითკონტროლზე, ინსტიტუციონალიზაციასა და ცხოვრების უნარ-ჩვევებზე, ფინანსური მხარდაჭერასა და ოჯახთან ურთიერთობებზე იყო ორიენტირებული (The Big Lottery Fund, 2013, გვ. 19-20).

პედაგოგებს ესაჭიროებათ ბავშვის განვითარების ეტაპების, კრიტიკული მდგომარეობის იდენტიფიცირებისა და საჭიროებისამებრ, ოპტიმალური რეაგირების ცოდნა/უნარი. ეს გულისხმობს ინფორმაციის ფლობას ბავშვის ოჯახზე, ოჯახურ მდგომარეობაზე, მის ფსიქიკურ განცდებზე. ოჯახთან მუდმივ კომუნიკაციას და ბავშვის განვითარება/ჩამოყალიბების კრიზისული ფსიქო- სოციალური პერიოდების შემამსუბუქებელი ტექნიკების ფლობას. ცალსახაა, რომ მხოლოდ სამართლებრივ დოკუმენტებში გაწერილი მასწავლებლის სტანდარტი და სკოლა, როგორც დამსაქმებელი ვერ უზრუნველყოფს პედაგოგების ამ უნარებით აღჭურვას. მაშასადამე, აუცილებელია არსებობდეს ხელმისაწვდომი, მრავალფეროვანი სავალდებულო და პერიოდული სერვისი, რომელიც ამ უნარებს შესძენთ მათ.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი წყარო

1. ბერკი ლ. ,ბავშვის განვითარება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 2010
2. გაბუნია მ., დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი,2010, #3(26)’10, გვ. 96-103;
3. ებნერი ჯ., 21-ე საუკუნის ზრდასრულთა განათლების მანიფესტი (თარგმ. კოდუა ნ.),ზრდსრულთა განათლების ევროპის ასოციაცია, ბრუსელი, 2019
4. მამრიკაშვილი ნ., აღზრდა, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი, აკაკიწერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია, ქუთაისი, 2017 წ.
5. მაჩაიძე ლ., მოლოდინაშვილი მ., პედაგოგიკა-აღზრდის მეცნიერება, ქესჟ: განათლების და ფსიქოლოგიის მეცნიერებანი, 2014, No . 1(27), გვ. 214-216, (http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2268.pdf&t=1 ISSN 1512-1801, pdf);
6. სალია მ., სკოლისა და ოჯახის როლი მოზარდის სოციალიზაციაში, კულტურათაშორისი კომუნიკაციები, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა 2008 #5, თბილისი(http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-1l--11-ru-10---10-preferences-50--00-3-about-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=period&cl=CL2.15&d=HASH01017f7b38bef47a985eeb8f.8.3) ;
7. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, პროფესიული განვითარების სქემისადმი მასწავლებლების დამოკიდებულების კვლევა, თბილისის, 2012

ISSN 1512-1801

8. ქიტიაშვილი ზ.,ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში/1991-2013წ. განათლებისა და ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის დისერტაცია, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016წ.
9. შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელ მჯავრდებულთათვის რისკ-ფაქტორების კრიმინოლოგიური ანალიზი, ბერლინი/თბილისი,2013, გვ. 13-33;
10. ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვიტარების ცენტრი, 2008

უცხოურენოვანი წყარო

1. Berry J. Dasen P., Saraswathi T. Handbook of Cross-cultural Psychology: Basic processes and human development, second edition, USA, 1997
2. Buonanno P. , The Socioeconomic Determinants of Crime, A Review of the Literature , Milan: Department of economics university of Milan – Bicocca, 2003 , გვ.11-24;
3. Capaldi D.M., Kerr D.R., Eddy J.M., Tiberio S.S. , Understanding Persistence and Desistance in Crime and Risk Behaviors in Adulthood: Implications for Theory and Prevention, 2016 (https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4826854/)
4. Institute of Medicine and National Research Council, Committee on the Science of Adolescence Board On Children, Youth and Families, The National Academies Press, Washington D.C. 2011
5. Guidelines for Prevention in Psychology, American Psychologist, American Psychological Association,2014, Vol. 69, No 3, 285-296;
6. Hooge E., Socialisation at School. The Pedagogical Dimension of Teaching in Dutch Primary School, Education and Society, Amsterdam University of Applied Science, 2014, გვ. 63-70).
7. The Big Lottery Fund, Learning from Projects Working With Ex-offenders, Glasgow,2013 გვ.19-20
8. Wall S., Litjens I., Taguma M., Pedagogy in early Childhood education and Care (ECEC): an International Comparative study of Approaches and Policies, Research Brief, 2015, გვ. 1-7 (https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/445817/RB400_-_Early_years_pedagogy_and_policy_an_international_study.pdf)
9. Платонов Ю,П Социальная Психология Поведения, Учебное Пособие ,Пмтер 2006

სამართლებრივი დოკუმენტები

1. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, 2015, გვ.1-22
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 28 მარტის ბრძანება #39 ,მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის ბრძანება #79/ნ, მოსწავლის ქცევის კოდექსი

ISSN 1512-1801

4. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 დეკემბერის #533 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“
5. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 11 თებერვლის #69 ბრძანება, მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცების შესახებ, 2016

ინტერნეტ რესურსები

20. დანაშაულის პრევენციის ცენტრი (http://prevention.gov.ge/uploads/files/about.pdf)
21. კარიტასი (https://caritas.ge/ka/%e1%83%a9%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%98-%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%ac%e1%83%9d%e1%83%93%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%90/)
22. სოციალური მომსახურების სააგენტო (http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=677

Article received 2019-11-18